მანძილს ქვეყნის ერთი ბოლოდან მეორემდე და მთელი ძალ
ბის უეცარი დარტყმით ანადგურებდა მტერს.

„დაეთ აღმაშენებელი მამაცი მეომარი და გულადი მ
დართმოაკარი იყო. მას მოეულოდნელი და სწრაფი სამხედრ
მოქმედება უყვარდა"[1]—წერდა აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილ
მაგრამ ასე მოულოდნელად ლაშქრის დიდ მანძილზე გადასვ
ლის მთავარ საწინდარს შეადგენდა ქვეყნის სტრატეგიულ
გზების მაღალი ტექნიკური დონე: თუ გზები გაუვალი და ხ
დები უვარგისი იქნებოდნენ, მხედრობის მოძრაობაც შენელ
დებოდა, ხოლო დარტყმის სისწრაფე და მოულოდნელ
განხორციელებელი დარჩებოდა.

დაეთ აღმაშენებლის შემდეგ განუხრელად მიმდინარეობ
საქართველოს საგზაო გაფართოება-სრულყოფა. ეს შედეგ
იყო და საწინდარიც იმ მძლავრი ეკონომიური და კულტურულ
აღმავლობისა, რაც XI—XIII საუკუნეების რუსთაველ
ეპოქის საქართველოში შეინიშნება და რითაც იგი მთელი მ
შინდელი აღმოსავლეთის ცივილიზაციის მთავარ მ.მოძრავ
ბელ წამყვან და მაგალითის მიმცემ ძალად გამოდის. მაშინდ
ლი საქართველო ხომ აღმოსავლეთის რენესანსის მედროშ
წარმოადგენდა. ეს კი ბევრისმეტყველი ფაქტია საგზაო-საინ
ჟინრო ხელოვნების განვითარების მდგომარეობის შესაფ
სებლადაც.

თამარ მეფის (1184—1213 წ.წ) სახით აღმაშენებლის
საქმეს ღირსეული მემკვიდრე და გამგრძელებელი აღმოჩნდ
საგზაო მშენებლობაში თამარის მრავალმხრივ ნაყოფიერ მო
ვაწეობაზე მეტყველებენ როგორც წერილობითი წყაროები
ისე მატერიალური ძეგლები, განსაკუთრებით ხალხში ღრმა
ფესვგადგმული ტრადიცია, რომელიც ყოველ კარგ და შესა
ნიშნავ არქიტექტურულ თუ საგზაო-საინჟინრო ნაგებობას თ
მარის უკვდავ სახელს მიაწერს.

შუა საუკუნეების საქართველოში არსებული საშენებლ
ტექნიკის შესახებ მრავალი საინტერესო ცნობაა დაცული ი
ხანის ნაწარმოებებში, რომელთაგან ყველაზე უფრო გამოჩ

[1] ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული სისტორიო მწერლობა
თბილისი, 1916, გვ. 159—163.

ჩენა გიორგი მერჩულეს (IX ს.), სეფიონ ბარბველის (IX ს.),
ანტონიოზ ტბელის (XIII ს.) და სხვათა თხზულებანი. საგზაო
მეურნეობაზე დიდძალ ცნობებს შეიცავენ იმ დროის მხატვრულ
ი ნაწარმოებებიც, მათ შორის შოთას უკვდავი ქმნილება
„ვეფხისტყაოსანი"

დიდად საყურადღებოა უცხოელ, განსაკუთრებით თვით
მხილველ, ავტორთა თხზულებანიც. IX—X ს. ს. არაბი ავტო
რები, რომლებსაც საკუთარი თვალით უნახავთ სამხრეთ კავ
კასის ზოგიერთი მოქმედი საავტო და სტრატეგიული გზა,
დაწერილებით აღწერენ მაგისტრალური გზების მარშრუტებს.
ეს გზები მიემართებოდნენ ჭ. თბილისიდან სამხრეთითა და
აღმოსავლეთით ქალაქებისაკენ—ბარდის, შემახის, განჯის,
დარუბანდის (არდებილის), დარუბანდის, დვინისაკენ და ა. შ.

გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ XI—XIII საუკუნეებში
საქართველოში საგზაო მშენებლობის ხელოვნებამ მიაღწია
განვითარების უმაღლეს წერტილს, უმაღლეს წერტილს არა
მხოლოდ საქართველოს შემდგომი ისტორიის თვალსაზრისით,
არამედ მთელ მაშინდელ მსოფლიო დონესთან შეფარდებითაც.
ამ ხანის დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გზების უვარგისობის
გამო მთავარი ყურადღება გადატანილი იყო საზღვაო-სამდინა
რო გზებზე.

თამარ მეფის ძის, ლაშა გიორგის გარდაცვალების შემდეგ,
XIII საუკუნის შუა ხანიდან საქართველოს შემოესივნენ მო
ნგოლთა ველური ურდოები, რომლებიც ყლეტდნენ მშვიდო
ბიან მოსახლეობას, ანგრევ-ანადგურებდნენ აყვავებულ ქალა
ქებსა და სოფლებს. მონგოლების საუკუნოვანი ბატონობა ლანგ
თემურის ურდოების თარეშმა შეცვალა XV საუკუნეში, ხოლო
შემდეგ XVIII საუკუნემდე, საქართველოს მიწა-წყალს აოხრე
ბდნენ მეზობელი ძლიერი მუსულმანური სახელმწიფოები.
მთელი ამ ინალბედობისა და მასზე გადახლართული შინაფე
ოდალური აშლილობის შედეგად მეფის ცენტრალიზებული
ხელისუფლება შეიმუსრა და ქვეყანაც მთელ რიგ წვრილ,
ერთიერთმებრძოლ „საქართველოებად" დაქუცმაცდა, რამაც
საქართველოს ეკონომიური და კულტურული ცხოვრების
მაგისტრალზე განსაკუთრებით მძიმე უარყოფითი გავლენა იქო-

რის და სამერხეულის უბნებში თვითდაბეგვრის წესით 9000 ოჯ
დან თვითეულმა 9 მანეთი გადაიხადა და შეგროვებულ 81.000 მ
ითით დაიქირავა ტუპახელი ინჟინერ-ტექნიკოსი ... ამ
გამოთანხმებული კაპიტალიზმის პირობებში ეს წესი თვით აფხაზი
ხიბის საფუძველდებოდ შებრუნდა. სამუშაოები ხელ იგდეს ...
ლობრივმა მოჯარეებმა, რომლებმაც, საკუთარი ჯიბის გასქელ
მიზნით, სამუშაოები არაბარისხიანად, ანჯარებულად შეასრულეს
ამით ფულის გამდებ მოსახლეობას ზარალი მიაყენეს.

ალბინოვი ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტს, რომელიც საკ
ნის უარყოფით გავლენას ახდენდა გზათა მშენებლობის საქმეზე
ქართველოში. ამ მხრივ საყურადღებო მოსაზრებანი აქვს გამოთქმუ
ასიის გეოლოგიის კარგ მცოდნე მეცნიერს, აკადემიკოსს გ. ...
1870 წლის 10 მაისს კავკასიის მეფისნაცვლის სამმართველოს
ბოლოს აკადემიკოს გ. ...ს თხოვნით, გამოთქვა თავისი აზრი ...
ოკოლეებთა შესახებ, რომლებიც გამოვლინდა თბილისი-თელავის
მშენებლობისას, გომბორის ულელტეხილზე.

ალეი რა გომბორის გზის მშენებლობა, ...
ნა ყველა ის დაბრკოლება, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საერთ
კავკასიის და განსაკუთრებით საქართველოს გზათა მშენებლობებ
...ის აზრით, მთავარ მიზეზს წარმოადგენდა ტრასირების ...
თხზებულობა გზის გაყვანის ადგილმდებარეობის გეოგნოსტიურ ...
ბულებასთან და ჯიშების მინერალურ შემადგენლობასთან. კავკ
გზათა ძველებლობისას საკმარისი არ არის ყურადღების გამახვილ
ძოლად ნიადაგის გეოგნოსტიკის შემადგენლობაზე; ეს ცალმხრ
ძიდგომა ხშირად ზედმეტ ფულად ხარჯებს მოითხოვს და გზათა ...
ხებლობის განვითარებას აფერხებს.

კავკასიის მთების საერთო ხასიათი, მათი ჯიშობრივი შემადგენ
ბის მიხედვით, — აღნიშნავდა ...ი, — შემდეგია: ისინი უმთავრეს
შედგებიან ფიქლებისაგან და ქვიშაქვებისაგან, რომლებიც შეიცავ
ადგილს და კირქვა მინარევებს. ეს სუსტი და ადვილად შლადი ქა
ბი, ისინი მოკლებულია ქარისა და წყლის დამანგრეველ ძალებისა
ბი სერიოზული წინააღმდეგობის გაწევის უნარს. ასეთი არამდგრა
ჯიშები უფრო გავრცელებულია კავკასიონის შუა ნაწილში და, გან
კუთრებით მის სამხრეთ ფერდობებზე, მის გრძივ და განივ ხეობებ
რიგორც მაგალითად, მდ. ლიახვის ხეობაში.

[1] ...ადგილებში ...ს ... 30 წელზე მეტი მოსდიოდა ...

და ამის შემდეგ აკადემიკოსი გ. ...ი ასახელებს მთელ რიგ ადგ
ლებს, დაბალი ღირსების გზათა ტრასებს:

1. ...;
2. ...;
3. ...;
4. ...ის ...

...ლებიც მნიშვნელოვნად აფერხებდნენ საქართველოს გზათა მშენებლ
ბას. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს:

1. ...ში არ იყო სრულყოფილი კონსტრუქციების; ...
...ოგორც ტრანსპორტის მოძრაობის, ...
...ბულ...; მისასვლელები ...
...თებაც ...; საფენად ...

2. საგზაო სამუშაოები სრულდებოდა ...
...ელსაწყოს გამოყენებლად — ...
...ლს კი ...ებდნენ ...

3. ...
...თა ...ები, ...ები ...
...ლები.

4. ...

5. სამუშაოთა წარმოებაში ...
...ინსტიტუტს, მიელი მისი ნაკლოვანი მხარეებითურთ.

6. თვით საგზაო ორგანიზაციებში ...
...ბოლოტმოქმედებანი — ...

7. ...
...ება ...ოდ ...
...ებ...
...ესურსების ...

8. სამშენებლო ...ს ...
...ლველად, ...
...ელი ...

[1] Записки Кавказского отделения Русского Технического Общества. Том II (1870). Доклад Ф. В. Фон Кошкуля — «Извлечение из записки академика Абиха, об отношениях которые существуют на Кавказе между физическим строением почвы и затруднениями в устройстве дорог».

ნ. ქვეზერელი-კოკაძე

გზა[illegible]ა მშენებლობა საქართველოში

ნაწილი I

(უძველესი დროიდან მე-18 საუკუნის დამლევამდე)

გამომცემლობა „განათლება"
თბილისი — 1974

9. გზების მშენებლობა ხდებოდა ადგილობრივი, ბუნებრივი, ...
მატერი, გეოლოგიური პირობების გათვალისწინებლად.

10. გზების ექსპლოატაცია მიშვებული იყო თვითდინებაზე, ...
უფრთხილდებოდნენ მათ — დაყავდათ შეუფერებლად ვიწროები...
ლიანი ტრანსპორტი, ათრევდნენ ხის მორებს და სხვ.

11. ძალზე დაბალ დონეზე იდგა ხიდების მშენებლობა: საფრ...
ნებს ათავსებდნენ სუსტ ნიადაგზე, ხიმინჯებს ასხამდნენ არასთან...
სალრმეზე, სანაპირო ბურჯებს აკეთებდნენ გარეცხვისაგან დამ...
ლის მოეწყობლად, საშენებლო მასალა დაბალი ღირსებისა ...
და სხვა.

12. გზები რჩებოდა გამწვანების გარეშე.

პირველი მსოფლიო ომის დროს და მომდევნო წლებში საქართ...
ლის ისედაც ფაქტიურად მოეწყობელი გზები მთლად უნუკ...
მდგომარეობაში აღმოჩნდა. მდგომარეობის გამოსწორება შესაძ...
ბელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდ...
ძირფესვიანად შეიცვალა არა მარტო გზათა მშენებლობის ტექნ...
არამედ გზათა მშენებლობის თვით ეკონომიკა, ამასთან სტრატეგიულ...
საშეფრო მნიშვნელობის გზებიც მთლიანად მშრომელი ხალხის ...
თავდადებისა და საბელმწიფო სახალხო მეურნეობის საჭიროებ...
საშსახურში ჩადგა.

ასეთი იყო გზათა მშენებლობის საერთო, ზოგადი სურათი XI...
საუკუნის საქართველოში.

შემდეგ ცალ-ცალკე შეეჩერდებით ყველა მოქმედი გზის მშენ...
ლობის განვითარების საკითხებზე, გადმოვცემთ თვითეული მათგან...
შეძლებისამებრ სრულ დახასიათებას.

გზა თბილისი-„ბატეხილი ხიდი"

ეს გზა ძველი, ისტორიული ტრანსკავკასიური მაგისტრალის მცი-
რე ნაწილს წარმოადგენს.

ტრანსკავკასიური მაგისტრალი მიემართებოდა შავი ზღვის აღმო-
საღლეთი სანაპიროდან ყასპის ზღვამდე. რიონი-ყვირილა-მტკვრის
ხეობებისა და თბილისის გაყოლით იგი ჰკვეთდა საქართველოს, შემდეგ
კი მდ. აქსტაფის ხეობასთან იყოფოდა ორ ტოტად — ერთი ისევ
მტკვრის გასწვრივ ყასპის ზღვისაკენ მიიწევდა, ხოლო მეორე აქსტა-
ფის ხეობის ჩათვლით და სევანის ულელტეხილის გადაკვეთით არარა-
ტის ველზე ეშვებოდა.

მარშრუტის ამ უკანასკნელ მონაკვეთს დასაბამი მისცეს ჯერ კი-
დევ ურარტუს მეფეებმა, როცა (ძვ. წ. IX-VIII სს.) დაპყრობითს
ლაშქრობებს აწყობდნენ და ციხე-სიმაგრეებს აგებდნენ სამხრეთ
ამიერკავკასიაში.

საქართველოდან თურქეთის და ირანის საზღვრებისაკენ ძველად
რამდენიმე გზა მიემართებოდა, მათგან ზოგი დღესაც არსებობს საცალ-
ფეხო და სასაპალნე ბილიკების სახით. ყველა გზას ჰქონდა არსებითი
ნაკლი — რთული ტოპოგრაფიული გარემო და არაბელსაყრელი
გრუნტი.

რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ კავკასიის თვით-
მპყრობელური ადმინისტრაცია განსაკუთრებული უურადღებით ეპყ-
რობოდა აღნიშნულ გზებს, რადგან მათ უდიდეს სტრატეგიულ მნიშვ-
ნელობას ანიჭებდა. მაგალითად, საქართველოს მმართველი 1816—
1827 წლებში გენერალი ა. პ. ერმოლოვი წერდა: „გავიარე დილიჯნის
ხეობამდე, რათა შემეტრჩია მცირე სიმაგრის მოსაწყობად ადგილი;
რადგან ეს გზა მოკლეა და საუკეთესო ირანიდან მიმავალი ქარავნები-
სათვის"[1].

და მართლაც, იმ დროიდან დაიწყეს ამ მარშრუტის გაუმჯობესება

[1] Записки Алексея Петровича Ермолова. Часть II. Москва, 1869.

ᲛᲔᲠᲙᲕᲐᲫᲔ

ᲒᲖᲐᲗᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

წიგნში განხილულია საქართველოში საავტომობილო გზების განვითარების ისტორია მისი პირველყოფილი ფორმიდან საგზაო ტექნიკის დამოუკიდებელ სრულყოფილ დარგად ჩამოყალიბებამდე. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი გზების განვითარების სპეციფიკას, რასაც ამჟამადაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე საგზაო მშენებლობის ამა თუ იმ საკითხის შეფასებაში. ასეთებია, მაგალითად, მთაგორიანი რელიეფისა და კლიმატური ფაქტორების გავლენა გზების მშენებლობასა და ექსპლოატაციაზე, ადგილობრივი მასალების გამოყენების საკითხები. მრავლადაა მოცემული ისტორიული ძეგლები, რომლებთანაც დაკავშირებულია გზების მშენებლობის საკითხები.

წიგნი სარგებლობას მოუტანს საავტომობილო გზების სპეციალობის სტუდენტებს და სამშენებლო ტექნიკისა და არქიტექტურის ისტორიის დარგში მომუშავე სპეციალისტებს.

К $\frac{3187-063}{М-602(08)-74}$ 234—74

ლება. ეს უფრო ზრდის ჩვენი განზრახვის საზოგადოებრივ
მნიშვნელობას და, ბუნებრივია, ზრდის ჩვენს პასუხისმგებ
ლობასაც, რაც შეიძლება ვრცლად მიმოვიხილოთ საქართველ
ლოს საზოგადოებრივი ცხოვრების სასიცოცხლო არტერია
ბი — სამიმოსვლო გზები, რომლებიც უძველესი დროიდან არ
სებობდნენ, და დამაჯერებლად ნათელვყოთ ის დიდმნიშვნელ
ლოვანი როლი, რასაც ისინი ქართველი ერის მრავალსაუკუნ
ვან ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაშ
ასრულებდნენ.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ტექნიკისა და მეცნიერების
ძლავრი განვითარება გვავალებს სისტემატურ მუშაობას ვეწვ
ოდეთ ძველი ტექნიკის ისტორიის შესასწავლად, რათა უკეთ
გავერკვეთ ერის თანამედროვე კულტურისა და ტექნიკის გან
ვითარების გზებსა და კანონზომიერებებში და ამ საფუძველზ
უკეთ წარვმართოთ შემდგომი მუშაობა.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოს სამ
მოსვლო გზები უძველესი დროიდან XVIII საუკუნის დამლ
ვამდე.

კმაყოფილი ვიქნებით, თუ ეს ნაშრომი აღძრავს ჯეროვან
დაინტერესებას, გაუღვიძებს სხვებს სურვილს შეავსონ იგ
ახალი, დღემდე უცნობი მასალებით, რათა მივიღოთ ქართულ
მატერიალური კულტურის ისტორიის ამ ერთ-ერთი მნიშვნ
ლოვანი დარგის უფრო ხრული, მთლიანი სურათი.

წინასიტყვაობა

საგზაო უწყებაში ხანგრძლივი მოღვაწეობისას ჩვენს ყურადღებას იპყრობდა მრავალრიცხოვან საგზაო ნაგებობათა—გზის საფენების, ქვის ხიდების, ქარვასლებისა და სხვათა ნაშთები, რომლებითაც მოფენილია საქართველოს მთელი ტერიტორია. ისინი თვალწინ გვიშლიდნენ მძლავრი საგზაო და სახიდე მშენებლობის ხელოვნებას, ამ დარგში ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი შემოქმედებითი მოღვაწეობის მჩქეფარე სამეურნეო და ომახიანი საბრძოლო ცხოვრების ფოლიანტებს. მათი ღრმად წაკითხვისა და მშობლიური ხალხისათვის გაცნობის მისწრაფება იმთავითვე დამეუფლა.

ადრეული ხანიდან დღევანდლამდე საქართველოს სამიმოსვლო გზებისა და მათი ელემენტების მთლიანად გამოვლენება და გაშუქება, ცხადია, მეტად რთული და ფრიად პასუხსაგები ამოცანაა. მით უფრო, რომ ამ მხრივ ეს ნაშრომი პირველი ცდაა.

ნაშრომში განხილულმა თემამ შეიძლება მკითხველში ერთგვარი გაკვირვება გამოიწვიოს: რომელ ქართულ, ისიც უძველეს სამიმოსვლო გზებზე გველაპარაკებით, როდესაც რაღაც ნახევარი საუკუნის წინათაც კი მტვრიანი, ოღრო-ჩოღრო გზების მეტი არაფერი გვებადა და ისიც თითქმის გაუვალი იყო?! რაც შეეხება ხიდებს, არც ამ მხრივ გვქონია სანუგეშო მდგომარეობა, თუ არ ჩავთვლით 2—3 კაპიტალურ სახიდე ნაგებობას; მდინარეებზე გადასასვლელად ვიყენებდით მოძველებულ საშუალებებს — ფონებს, ბორნებს და აქა-იქ პრიმიტიულ ხიდბოგირებს. ასეთი წარმოდგენის გაქარწყლება მხოლოდ მდიდარი საგზაო და სახიდე კულტურის უხვი მატერიალური ძეგლებისა და ცხოველმყოფელი ტრადიციების წარმოჩენით შეიძ-

შესავალი

ცნება — საქართველოს ძველი გზები — ისე ეღერს, თითქოს საქმე გვქონდეს საინჟინრო-სამშენებლო ხელოვნების ისტორიის მხოლოდ ერთ-ერთ ვიწრო დარგთან, რომელიც არ იმსახურებდეს დიდ საზოგადოებრივ ყურადღებას. მაგრამ ცნობილია, რომ ყოველთვის, ყველგან და ყოველ სახელმწიფოში სახალხო მეურნეობის საერთო სისტემაში ყველა სახის სამიმოსვლო გზები დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ და ასრულებენ, სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს წარმოადგენდნენ და წარმოადგენენ, რადგან მათზე ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიურ მხარეთა ნორმალური კავშირურთიერთობა და ამ საფუძველზე მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების მეტ-ნაკლებად შეუფერხებელი აღმავლობა.

ზოგჯერ გზათა ქსელს სისხლძარღვოვან სისტემას ადარებენ, რადგან ისიც კვებავს, ასაზრდოებს სახელმწიფო ორგანიზმს; მისი ცხოველუნარიანობა, განვითარება მთლიანად ამ ძარღვების ნორმალურ მუშაობაზეა დამოკიდებული. უფრო ძეტიც: გარკვეული აზრით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის ცივილიზაცია სამიმოსვლო გზების აღმოჩენასა და განვითარებაზეა დამოკიდებული, რომ სწორედ გზები იყო შრომის პროცესში მაიმუნის გაადამიანების მასაზრდოებელი ჭიპი; ამიტომ მართალი არიან, როცა დამწერლობისა და საბეჭდი დაზგის გამოგონებასთან ერთად სამიმოსვლო გზებს თვლიან იმ ერთ-ერთ არსებით ფაქტორად, რომელმაც უზრუნველყო ადამიანის, მისი კულტურის განვითარება თანამედროვე დონემდე.

ამიტომ შეიძლება a priori ვამტკიცოთ, ე. ი. იმთავითვე და-
ვუშვათ, რომ კეთილმოწყობილი გზები წარმოადგენენ ერთ-
კულტურული დონის ერთ-ერთ არსებით მაჩვენებელს, რომ
ყოველი ერის ცხოვრებაში სამიმოსვლო გზები და კულტურ-
ყოველთვის ერთიერთგანუყოფელი ელემენტებია.

კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეპოქაში გზებ-
ისე შეიჭრნენ ადამიანის გონებასა და ცხოვრებაში, ისე შეუ-
ჩვიეთ მათს ორგანულ ერთიანობას ჩვენს გარემო პირობებ-
რომ მათ ვთვლით ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ბუნებრივ
ელემენტებად და ჯეროვნად არ ძალგვიძს მთლიანად შევიგრ-
ნოთ მათი სპეციფიკური ადგილი და როლი მთელი საზოგა-
დოებრივი ცხოვრებისა და მეურნეობის საერთო სტრუქტუ-
რაში.

საუკუნეები ერთმანეთს ცვლიან; ისტორიას ბარდებ-
დრომოჭმული სოციალ-ეკონომიური წყობილებანი; წარმო-
იშობიან და ვითარდებიან უფრო მაღალი დონის საზოგადო-
ებრივ-ეკონომიური ფორმაციები, კაცობრიობა განუხრელად
მიიწევს კომუნიზმისაკენ და მისი ამ შეუნელებელი აღმასვლ-
ერთ-ერთი განუყოფელი საფუძველია გზები და მათთან დაკავ-
შირებული საინჟინრო-ტექნიკური ნაგებობანი. ამიტომ ამბ-
ლუტური ჭეშმარიტების ძალას იძენს ცნობილი თქმულება
via — vita (გზა სიცოცხლეა).

საქართველოში გზათა მშენებლობის ისტორიის შესწავ-
სას საჭიროა გულდასმით ვითვალისწინებდეთ არაპირდაპირ
მინიშნებებსაც. შეიძლება წერილობითს წყაროებში არ იყოს
ამ საკითხთან დაკავშირებული პირდაპირი კონკრეტული მონ-
ცემები, ისტორიულ მოვლენათა ღრმა ანალიზისას კი ამკარ-
გახდება, რომ გზები და მისი მთავარი ელემენტები — ხიდები
უთუოდ მონაწილეობდნენ ამ მოვლენათა მსვლელობაში. ამის
საყოველთაოდ ცნობილი ნიმუშებია მცხეთის, გორის, ასპინ-
ძის, ახალდაბის ხიდებისა და „გატეხილი ხიდის“ სახელებთან
დაკავშირებული ისტორიული ფაქტები, რომელთა აღწერისას
წყაროები ხან საგანგებოდ ეხებიან ამ სინჟინრო ნაგებობებს,
ხან კი მათს უბრალოდ დასახელებასაც საჭიროდ არ თვლიან.

როცა საქართველოს ძველ გზებზე ვმსჯელობთ, არ შე-

იძლება თუნდაც გაკვრით არ შევეხოთ ძველ საავტო სატრან-
ზიტო გზებს, რომლებიც სამხრეთ კავკასიის ტერიტორიას
სხვადასხვა მიმართულებით ჭკვეთდნენ. ბუნებრივია, საქარ-
თველოს სახმელეთო გზების განვითარება და კეთილდღეობა
ჯერჯერობით დამოკიდებული იქნებოდა სხვადასხვა საშინაო და საგ-
გარეო პოლიტიკურ მოვლენებზე. საერთაშორისო, სატრანზი-
ტო გადაზიდვებზე საქართველოს, საერთოდ კი სამხრეთ კავ-
კასიის, ტერიტორიაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ
ოჯრეთვე რთული მსოფლიო კონფლიქტები და ამით განპირო-
ბებული ეკონომიური ძვრები, უდიდესი გეოგრაფიული აღმო-
ჩენები (უმთავრესად საზღვაო გზებისა ინდოეთისაკენ).

ცნობილია, რომ ვაჭრობა ყოველთვის ეძებდა ახალ, თა-
ვისთვის ხელსაყრელ სარფიან გზებს. ამიტომაც არის, რომ ის-
ტორიაში მრავალგზის შეუცვლიათ მიმართულება სატრანზიტო
ჰაგისტრალებს, მიუტოვებიათ ძველი ადგილსამყოფელი და
გადაბიმულან ახალ, უფრო მარჯვედ განლაგებულ ქვეყნებზე
გავლით. ძნელბედობით აღსავსე ისტორიას ასეთი მძიმე ხვედ-
რი არაერთგზის ერგებია საქართველოსთვისაც. საქართვე-
ლოს სავაჭრო გზებიც გადაქცეულან უაღ უდაბურ ძეძ-ბარ-
დებით დაფარულ ადგილებად.

მყუდრო შინაცხოვრებისას, უცხო ქვეყნებთან კარგი დამო-
კიდებულებისას, უმთავრესად მაშინ, როდესაც საქართველო
გაერთიანებულ მძლავრ სამეფოს წარმოადგენდა, ჩვენში არსე-
ობდა მკაფიოდ განსაზღვრული მიმართულების სატრანზიტო
გზები. მათ შესახებ ცნობებს საკმაოდ უხვად გვაწვდიან წერი-
ლობითი წყაროები.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა მსოფლიოს
უდიდეს მატერიკებს — ევროპასა და აზიას შორის, მისი რთუ-
ლი რელიეფი და ნიადაგის თავისებურებანი, კლიმატური და
მეტეოროლოგიური პირობები — ყველა ამ ფაქტორთა ერთობ-
ლიობა იმთავითვე განსაზღვრავდა მსოფლიოს ამ სტრატე-
გიულ მიკრორაიონში კაცობრიობის უძველესი გზების წარმო-
შობასა და განვითარებას. ამას, გეოფიზიკურ ფაქტორებთან
ერთად, ადასტურებს ერთი მხრივ ჩვენამდე მოღწეული საგზაო
ნაგებობათა ნაშთები და მეორე მხრივ წერილობითი მონაცე-

ზეა საქართველოს გზების შესახებ. ეს მონაცემები მრავალ-
ჯერ სტუდიაზე ლიტერატურაში უძველესი დროიდან დღემდე.

მატერიალური ნაშთებისა და წერილობითი წყაროების
ანალიზ-სინთეზური კვლევის შედეგად შესაძლებელი ხდება
ბოლოი სწორი და სრული წარმოდგენა საქართველოს
ძველი გზებისა და საგზაო ნაგებობების განვითარების შესა-
ხებ.

საქართველოში საგზაო საქმის ჩასახვისა და განვითარების მოკლე მიმოხილვა

შორეულ წარსულშივე საგზაოსახიდე მშენებლობის განვითარებას საქართველოში ხელს უწყობდნენ როგორც საშინაო, ისე საგარეო ხასიათის ფაქტორები — ერთი მხრივ შინაური მოქმედი ძალები, რომლებიც წარმოიშვნენ თვით საქართველოს წიაღში, ერის კანონზომიერი შემოქმედებითი ინიციატივის პროცესში, ადგილობრივი პირობების ვითარებაში და მეორე მხრივ გარე სამყაროსთან კულტურული კავშირურთიერთობა, კერძოდ, წინა აღმოსავლეთის დაწინაურებული ძველი ცივილიზაციების დიდი გამოცდილება. ამ ორივე ტრადიციის შერწყმით საქართველოს ბუნებრივ და გეოგრაფიულ თავისებურებებთან შეშენებიდა ნაყოფიერი ნიადაგი, სრულიად ორიგინალური, ეროვნულ-ეროვნული გზათა და ხიდთა მშენებლობის ტექნოლოგიური წარმოშობისა და მთელი ძალით განვითარებისათვის.

რა თქმა უნდა, საუკუნეები დასჭირდებოდა საჭირო გამოცდილებისა და ჩვევების შეძენას, საგზაო ნაგებობათა ორიგინალური, თავისებური ფორმებისა და კონსტრუქციების შექმნას. საბედნიეროდ, ყველა მათგანი ისტორიის კეთილება ერ გახდა. წინა აზიის ძლიერ სახელმწიფოებთან სულ ეფრო ა ეფრო მზარდი სამხარი შეხლა-შემოხლის ვითარებაში ევრი მათგანი უგზოუკელად დაიკარგა. ამას მოწმობს თუნდაც ერ ასურელი, ხოლო შემდეგ უარტელი ლერსმული ამწერლობის ძეგლები, რომლებშიც ლაპარაკია ათეულობით ბრძოლი „ქალაქებისა“ და „სოფლების“ განადგურებაზე, ბგრამ არიფერია ნათქვამი მათი ფორმისა და კონსტრუქციელი თავისებურებების შესახებ, მით ეფრო დუმან გზებისა ა საგზაო ნაგებობების შესახებ. ქართული მატერიალური

კულტურის ამ ძეგლთა თაობაზე ჯერჯერობით დუმს ან
ლო�აც. მათ შესახებ მიახლოებითი წარმოდგენის შემეშ
შესაძლებელია წინა აზიის მაშინდელი დაწინაურებული
ხელმწიფეების მაგალითით.

წინა აღმოსავლეთის დაწინაურებული, ძლიერი სახელ
ფოები მარტო მაღალი კულტურისა და დიდ მატერიალურ
საძღვლობათა ნამდვილი კერები როდი იყვნენ, ისინი თ
ანთ კეთილმოწყობილი სამიმოსელო გზებისა და საგზაო
გებობების მშენებლობით დიდი ცოდნისა და გამოცდილ
ცენტრებს წარმოადგენდნენ. მათი სავაჭრო, საქარავნო გ
სიგრძე-სიგანეზე ჭკვეთდნენ წინა და შუა აზიის ტერიტორ
ხოლო ზოგან ქართველთა ტერიტორიის ფარგლებშიც აღწ
დნენ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძველ ბაბილონში საგ
მშენებლობის ტექნიკამ მიაღწია იმ დროისათვის მეტად მაღ
განვითარების დონეს. ბაბილონელებს ქალაქების ჭიჭები
გზები მოკირწყლული ჰქონდათ რიყის ქვებით, რათა ტ
სპორტის ბორბლები არ ჩაფლულიყო ქვიშნარ გრუნტში.

ისტორიულ მეცნიერებათა მამამთავრის, ბერძენი ისტო
კოსის ჰეროდოტეს (ძვ. წ. V საუკუნე) ცნობით, ეგვიპტ
უდიდესი პირამიდის, ხეოპსის პირამიდის (ძვ. წ. მესამე ა
სეული წელი), მშენებლობის დაწყებამდე 10 წლის განმავ
ბაში (თვით პირამიდის მშენებლობა 20 წელიწადს გრძელ
ბოდა) მოსახლეობა წვალობდა ამ გრანდიოზულ ნაგებობ
თან მისასვლელი გზის გასაყვანად, რათა შეძლებოდ
ქვის მაღაროდან პირამიდის მშენებლობის ადგილზე ქვის
სლის გადაზიდვა. ამ გზას ჰქონია ერთ კილომეტრამდე სიგრ
20 მეტრამდე სიგანე და შთამაგონებელი სიმაღლე (ყველ
მაღალ ადგილას — 17 მეტრამდე). გზა თავიდან ბოლომდე ფ
ლაგებული ყოფილა გაპრიალებული ქვით, რათა შეძლებოდ
ქვის მსხვილი ლოდების გადატანა საგორავების გამოყენებით

ეს ფაქტები მიგვითითებენ იმ ღრმა ფესვებზე, რომლებ
გაუდგამს საგზაო მშენებლობის ხელოვნებას ძველ ერებში.

---

[1] Геродот. История в 9-ти книгах. Книга II, глава 124. Москв
1888, сз. 183.

იმავე ძველ ხანაში საქართველოს სამხრეთ საზღვრებთან, მცირე აზიის ცენტრალურ ნაწილში, დაწინაურდა და მთელ წინა აზიას ეგვემონობდა ხეთების სამეფო, რომლის სამხედრო-პოლიტიკურ და სამეურნეო-კულტურულ მიღწევებში მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანია ქართველ ტომებსაც. ხეთების კულტურა საუკუნეთა მანძილზე მძლავრ გავლენას ახდენდა წინა აღმოსავლეთის მრავალ ქვეყანაზე. ჩვენამდე მოღწეული ცნობები ადასტურებენ, რომ ხეთაში განვითარების მაღალ დონისათვის მიეღწევია სამშენებლო ხელოვნებასაც, კერძოდ, საგზაო მშენებლობას.

საბჭოთა მეცნიერი, არქეოლოგი ბოროზდინი წერს, რომ „ხეთები, რომელთა ხელშიც იყო წინა აზიის საქარავნო გზები, ფართოდ ავრცელებდნენ თავიანთ ექსპანსიას ეგეოსის ზღვა-ს. და ამიერკავკასიის შორის".[1]

წინა აზიის კულტურის ცნობილი ფრანგი მკვლევარი ჟ. კონტენო ხეთების სავაჭრო ექსპანსიის თავისებურებათა შესახებ აღნიშნავდა, რომ „ის, რასაც მიაღწიეს ფინიკიელებმა საზღვაო გზების წყალობით, მათ (ე. ი. ხეთებმა, ნ. კ. კ.) საქარავნო გზებით განახორციელეს. იმ დროს, როდესაც ეს გზები მცირე აზიაზე გაელით აზიასა და ევროპას ეკავშირებდნენ, ხეთების გავლენაც ყვაოდა მახლობელ მეზობლებში. იმ როლს, რომელსაც ხეთები, როგორც კულტურის გავლენის გამგრძელებელნი, ასრულებდნენ, ადასტურებს ძველი სამიმოსელო გზების მიმართულებანი".[2]

ხეთის ისტორიის საკითხების ავტორიტეტული სპეციალისტების დასკვნები ნებას გვაძლევს ხეთები ვალიაროთ ძველ სამყაროს უდიდეს ერთა შორის სავაჭრო ურთიერთობის ნამდვილ ორგანიზატორებად. ისინი რამდენიმე საუკუნის მანძილზე თავისი ძლიერი ქარავნებით კვეთდნენ აღმოსავლე-

---

[1] Бороздин. Археология и социология. Сборник «Новый Восток». Книга XII. Москва, сз. 205.

[2] Ж. Контено. Хетты. Сборник — Хетты и хетская культура. Госиздат Москва—Ленинград, 1924, сз. 72.

თის თვალუწვდენელ სივრცეებს მეტად განვითარებული საჭ-
რავნო გზებით"[1].

ჰეროდოტეს თქმით, აქემენიდთა სპარსეთში (ძვ. წ. VI—IV ს.ს) არსებობდა დიდმნიშვნელოვანი სატრანზიტო მაგისტრალი „სამეფო გზა". ამ შესანიშნავი გზის სიგრძე 2500 კმ იყო. იგი კვეთდა უზარმაზარ ტერიტორიას ლიდიის ყოფილი დედაქალაქიდან სარდიდან, ეგეოსის ზღვის სანაპირომდე, ანე თურქეთის ახლანდელ ქალაქ იზმირამდე, შემდეგ მიემართებოდა მცირე აზიაზე და შედიოდა სპარსეთის ძველ დედაქალაქ სუზაში სპარსეთის ყურესთან.

„სამეფო გზა" შემხვედრ დიდ მდინარეებს ჰკვეთდა სპეციალური გადასასვლელებით. მასზე, ერთმანეთისაგან თანაბარ მანძილზე, მოწყობილი ყოფილა „საგზაო სახლები" ქარავნებისა და მგზავრთა დასასვენებლად (ჰეროდოტეს თქმით, გზაზე 111 „მგეური სახლი მოქმედებდა) და მრავალი სხვა სახის ნაგებობა[2]. მაგისტრალს ჰქონია მთელი რიგი სხვადასხვა მიმართულების განშტოებანი, რომელნიც ერთმანეთთან აკავშირებდნენ იმ დროის მთავარ პოლიტიკურ და სავაჭრო ცენტრებს.

სომეხი მეცნიერი, აკადემიკოსი ი. ა. მანანდიანი კონკრეტულად ასახელებს ძვ. წ. VI—I საუკუნეებში საქართველოსაკენ მიმავალ გზებთან „სამეფო გზის" საკვანძო შემაკავშირებელ ადგილებს. ეს საკვანძო ადგილები ყოფილა მიდიის ქალაქები—ეკბატანა, ზაგრა და ანტრაპატენა[3].

სამხრეთიდან კავკასიის საზღვრებისაკენ მომავალ სავაჭრო გზებზე მეორე საბჭოთა მეცნიერი, აკადემიკოსი ი. ი. მეშჩანინოვი წერს: „მტკვარ-არაქსის შუამდინარეთის სამხრეთ ნაწილში, სახელდობრ არაქსის აუზის შუა წელში, წერილობითი

[1] საყურადღებოა ქართული სიტყვა „ხეტიალი", რაც ნიშნავს აქეთ-იქეთ სიარულს. ამ სიტყვისაგან წარმოიშვა „მოხეტიალე". ამ ქართული სიტყვის ფუძე გამოხატავს ხეთების მოღაშეობის დამახასიათებელ ნიშნებს—მეფეთ გადასვლას ერთი ადგილიდან მეორეზე. ეფრო პირდაპრ—ხეტიალს (დავით ჩუბინაშვილი — ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი, პეტერბურგი, 1840, გვ. 676).

[2] ჰეროდოტე. დასახელებული ნაშრომი. გვ. 25—27, 52—54.

[3] Я. А. Манандян, проф. О торговле и городах Армении. Эривань, 1930, гв. 23.

წყაროების თანახმად, პირველი ათასწლეულის დასაწყისში ურარტუს სამხედრო ექსპანსიამ მოუსწრო გარკვეული სამხედრო-სავაჭრო სამიმოსვლო გზების მქონე მეზიდროდ დასახლებულ ქვეყანას[1].

ზემოაღნიშნული ფაქტიური მასალა ნათელყოფს, რომ უძველეს ხანაშივე საქართველოს სამხრეთ ოლქებს უშუალოდ ესაზღვრებოდნენ წინა აზიის უდიდესი სახელმწიფოები, სადაც საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა კეთილმოწყობილი სამიმოსვლო გზების სამშენებლო ხელოვნება, რომ ეს გზები უშუალოდ უერთდებოდნენ საქართველოს ძველ მაგისტრალურ გზებს. ჯერ კიდევ ძვ. წ. V—IV საუკუნის ათასწლეულებიდან, როცა საფუძველი ჩაეყარა წინა აზიის (და საერთოდ მსოფლიო) ცივილიზაციას, ანტიკურ ეპოქამდე შუმერების, ბაბილონელების, ასურელების, ხეთების, ურარტეელების და სხვათა ქარავნები სერავდნენ დედამიწის ამ კუთხეში პირველ სამაგისტრალო გზებს და, როგორც არქეოლოგიური მასალიდან ჩანს, ამიერკავკასიის, კერძოდ, ქართველებით დასახლებული ტერიტორიების ხშირი „სტუმრებიც" უნდა ყოფილიყვნენ; ცხადია, უპირატესად ამავე გზებით ხდებოდა ქართველთა და წინა აზიის ხალხთა ურთიერთდალაშქვრაც, რაც დეტალურადაა გაშუქებული აკადემიკოს გ. მელიქიშვილის არაერთ კაპიტალურ ნაშრომში. ამის შემდეგ საქართველო საკმაოდ მჭიდრო კონტაქტშია ბერძნულ-რომაულ ცივილიზაციასთან, ამ სამყაროს სამშენებლო ხელოვნებასთან, საგზაო-საინჟინრო დარგის სიახლეებთან.

ანტიკურმა რომმა მსოფლიო კულტურის ისტორიას მისცა საგზაო მშენებლობის შესანიშნავი ოსტატები. ჩვენ აქ არ შეეხებით იმის გამორკვევას, თუ რა მიზნებით (დაპყრობითი პოლიტიკა), ან რა შრომითი რესურსებით (მონური შრომა) აშენებდნენ რომაელები თავიანთ სამაგალითო გზებს. აღვნიშნავთ მხოლოდ იმ ჭეშმარიტ ფაქტს, რომ ანტიკურ ხანაში რომაელები სახელოვნო გზების მშენებლობის უბადლო ოსტატე-

[1] Н. И. Мещанинов. Цикловические сооружения Закавказья. Известия Государственной Академии Материальной Культуры. Том XIII, выпуск 4. Ленинград. 1932 г.

ბი იყვნენ. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ქართული ტრ-
დიცია ქართლის დედაქალაქის — მცხეთის შემოზღუდვას დ-
აკავშირებს ქვითკირის ხიდის აშენებას რომაელთა სახ-
ელებს.

ახ. წ. VI საუკუნიდან საქართველო ირან-ბიზანტიის ხან-
გრძლივი, შეუპოვარი ბრძოლების ასპარეზად გადაქცა. ფ-
საფურადღებოა, რომ ეს დაუპატიჟებელი სტუმრები ზრუნავენ
არა მარტო საფორტიფიკაციო ნაგებობების შექმნისათვის,
არამედ გზების მშენებლობისთვისაც. კერძოდ, VI საუკუნის
ცნობილ ბიზანტიელ ისტორიკოსს პროკოპი კესარიელს
თავის თხზულებაში მოჰყავს საინტერესო ფაქტი იმის შესა-
ხებ, რომ ირანელებმა სამხედრო მიზნებისათვის საქართველო-
ში შექმნეს შესანიშნავი საგზაო საფენი. „მართლაც გაუკვირდ-
ება კაცს ომების დროს გამოჩენილ ამტანობა და მო-
ხერხებულობა სპარსელებისა, — წერს პროკოპი კესარიელი,
— რომლებსაც იბერიიდან კოლხიდაში მიმავალი გზა, რომ-
ელიც უველგან დაქანებული ნაპრალებითა და ჩაბეჭილები
ნელსავალი ადგილებით იყო დასერილი და ისე დაფარული
ეტრანი ტყეებით, რომ მსუბუქად დატვირთულ კაცსაც კი გა-
ეჭირდებოდა წინათ აქ გავლა, ისე გავსწორებინათ, რომ ირა-
თე მთელმა მათმა ცხენოსანმა ჯარმა გაიარა აქ დაუბრკო-
ლებლად, არამედ სპილოებიც გაატარეს, რამდენიც სურდათ,
და ისე ილაშქრეს იქ»[1].

ეს საგულისხმო ფაქტია. იგი აშკარად გვაუწყებს, რომ
უცხო ქვეყნებში შეჭრილი ოკუპანტები, მაგალითად, საქა-
თველოს მიწა-წყალზე შემოჭრილი ირანელი დამპყრობლები,
ერთი მხრივ, სამხედროიან მოსახლეობას, მიწასთან
ასწორებდნენ ქალაქებსა და სოფლებს, ანადგურებდნენ ქვეყ-
ნის შესანიშნავ მატერიალურ ძეგლებს და სხვა ფასეულობებს,
მეორე მხრივ, აშენებდნენ, რა თქმა უნდა, თავიანთი საჭირო-
ებისათვის, სტრატეგიული თუ ტაქტიკური მნიშვნელობის
სამხედროსავლო გზებს.

შემდგომ ისტორიულ ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე

[1] გ ვ ი ო რ გ ი ა. ბიზანტიელ მწერლების ცნობები საქართველოს
შესახებ. ტომი II, თბილისი, 1934, გვ. 152.

რომეორის მიყოლებით აბორგდნენ და მძვინვარებდნენ
ესულმანთა, არაბების, სპარსელების, მონგოლების, თურქი
ელჯუკების, თურქი ოსმანების და სხვათა მძლავრი დამპყრო-
ლური ტალღები. ისინიც, ბუნებრივია, სიავესთან ერთად
ირსსახოვარ კვალსაც ტოვებდნენ ქართველი ერის სოცი-
ალურ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მართალია,
ს ხალხები ქართულ სამყაროსთან პირველი შეხებისას განვი-
ორების ბევრად უფრო დაბალ საფეხურზე იდგნენ, ადრე სა-
ელმწიფოებრივ, ე. წ. არქაულ ფორმაციაში იმყოფებოდნენ[1],
საგრამ განსაზღვრელი იყო ის ფაქტი, რომ მათი ცივილიზა-
ცია, რომელიც წინა აღმოსავლეთის დიდებული კულტურის
ანგრევებს ეშყარებოდა, სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. ძვე-
ლი კულტურის სხვა მემკვიდრეობასთან ერთად მათ ხელში
განსაკუთრებულ სრულყოფას მიაღწია სწორედ გზების მშენე-
ლობამ, მათი კეთილდღეობისა და ამ გზებზე საფოსტო კავ-
შირის ორგანიზაციის საქმემ.

ახლო აღმოსავლეთის მუსულმანმა ერებმა საუკუნეთა მან-
ძილზე შექმნეს ორიგინალური არქიტექტურული ფორმები,
მშენებლობის ხერხები. როგორც წყაროებიდან ჩანს, თვით-
ეხილველნი ალტაცებაში მოჰყავდათ მათს გრანდიოზულ მო-
ნუმენტურ ნაგებობებს: სასახლეებს, ტაძრებს, ობსერვატო-
რიებს, საირიგაციო არხებს, ჭარავსლებს და სხვ. ამასთანავე,
კეთილმოწყობის მაღალი დონით გამოირჩეოდა მათი საქარავ-
ნო გზები, რომლებიც იმ დროს მსოფლიო სახმელეთო მაგის-
ტრალების გზაჯვარედინებს წარმოადგენდნენ.

გზების გადამკვეთ მდინარეებზე მოწყობილი ყოფილა მო-
ხერხებული გადასასვლელები, ხოლო სათანადო ადგილებში
— ხელმარჯვე დასასვენებელი სახლები (ქარავსლები), გზისპი-
რა წყალსადენები. გზების უდაბურ მონაკვეთებზე არსებულა
ბაქები, იქ, სადაც საჭიროება მოითხოვდა, აკეთებდნენ გზის
მაჩვენებელ ნიშნებს. გზების გასწვრივ სპეციალურად განლა-
გებული ყოფილა მაღალი კოშკები, რომლებიც უდაბნოების

[1] В. А. Белявский. Вавилон легендарный и Вавилон исто-
рический. Москва. 1971, гг. 5—6.

შეკერვის როლს ასრულებდნენ[1], და სხვა საგზაო ნაგებ
ნი, რომლებიც ადგილებდნენ და ხელს უწყობდნენ საგზ
ქარავნების მიმოსვლას აღმოსავლეთის უსაზღვრო გზებზ

საფოსტო კავშირის ორგანიზაცია, რაც შექმნილია ამ
ყოლია სახანოებში მანგუ-ხანის, ჩინგიზ-ხანისა და სხვ
მბრძანებლობის ქამს, დაწერილებით აქვს აღწერილი X
საუკუნის გამოჩენილ ვენეციელ მოგზაურს მარკო-პოლ
საფოსტო კავშირის ორგანიზაცია მონგოლებს, აქემენი
სპარსეთის (ძვ. წ. VI—IV ს.ს) კულტურულ მემკვიდრეობ
დაურღვნიათ, მოუკრებელი ჭკონიათ საოცარი დეტალურ
ბით, რითაც უზრუნველყოფდნენ ამ რთული ორგანიზაციის
ხამებელ ენაკლი მუშაობას. მონგოლთა საფოსტო სამსახუ
მთელი მისი სიდგურებით, ხელოვნური დასახლებული პ
ტებით, მრავალრიცხოვანი სარბენი ცხენებითა და მოსამსა
რეების დიდი შტატით, რომლებსაც ირანულად „იამჩი" (
ფოსტე) ერქვათ. — უზადოდ მოქმედებდა ჩინგის-ხანისა
მისი მემკვიდრეების მიერ დაპყრობილ უზარმაზარ სივრცე
— ჩინეთიდან კარპატების მთებამდე და ხმელთაშუა ზღვამ
აღსანიშნავია, რომ აქემენიდთა მაგალითისამებრ რ
ელებმაც შემოიღეს მსგავსი საფოსტო დაწესებულება
„cursus publicus".

ირანის ცნობილი სისტემატიზმტრელი შაჰ-აბას I თავის ქ
ყანაში ერთ-ერთ უდიდეს მშენებელ-მონარქად ითვლება. მ
მბრძანებლობის ქამს ირანი ყვაოდა; უდიდესი მშენებლ
განხორციელდა. რუსი ირანისტი აკადემიკოსი ვ. ვ. ბარტოლ
წერდა, რომ „შაჰ-აბას დიდის დროს გაკეთებულ იქნა გზატკეცი
ლი ასტრაბადიდან სირსა და ჰბელში (გილიანი და მაზანდარ
ნი), რომლებმაც ეს ოლქები წლის ყველა ხანისათვის მისა
გომი გახადა..[2].

---

[1] სელჩუკიანთა დროის ნასოფალი კოშკების — შეკერვების ნანგრ
ბი 1897—1901 წლებში ეწერებოდ სასტრის ეფანში ლეგი ბრ
ნეთის კონსულ სპარსეთში ბოლის სეფის, იხ. Новое путешествие
Персии майора Сейкса. Известия Кавказского отделения русского г
графического общества. Том XV, вып. 2. Тифлис, 1902, зд. 129.

[2] В. В. Бартольд. Историко-географический обзор Ира
СПБ, 1903, зд. 160.

ნაოქვამიდან ნათელია ყველა ის მთავარი ფაქტორი, რომ
ლებიც მრავალი საუკუნის მანძილზე ხელს უწყობდნენ საქარ
თველოს ფარგლებში საგზაო მშენებლობის ხელოვნების
სრულყოფასა და განვითარებას. ეს იყო, როგორც უკვე აღ
ნიშნეთ, ერთი მხრივ ადგილობრივი მოსახლეობის თვითმყო
ფი შინაგანი ინიციატივა და შემოქმედებითი ძალა, ხოლო მე
ორე მხრივ უცხოეთიდან საქართველოში საგზაო მშენებლო
ბის მაღალი ფორმებისა და ნიმუშების გადმონერგვა. მაგრამ
ეს გადმონერგვა ხდებოდა არა მექანიკურად, არამედ შემოქმე
დებითად, როგორც დიდი ილია იტყოდა, უცხოეთის მოწეული
ების ქართულ ეროვნულ ქერაში გატარებისა და გადამუშავე
ბის გზით, ადგილობრივი მოთხოვნების სპეციფიკისა და ბუ
ნებრივი პირობების შესაბამისად. ამიტომ გასაგებია, რომ
ჩვენში, ეროვნული სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ქმნა
დობისდაკვალად, საგზაო მშენებლობის ხელოვნების განვითა
ოებამ გარკვეული ეტაპები განვლო.

განსაკუთრებით საინტერესოა ყველაზე ადრეული, ანტი
კური ავტორების ცნობები კავკასიის, კერძოდ, საქართველოსა
და ქართველი ტომების შესახებ; ეწინარეს ყოველისა ის ადგი
ლები, სადაც ქართველი ტომები მოხსენებული ყოფილ ძველ
საგზაო მარშრუტებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ყურა
დღებას იპყრობს ყველაზე ადრეული მატერიალური საგნები,
რომლებიც აღმოჩენილია საქართველოში არქეოლოგიური გა
თხრების შედეგად. ირკვევა, რომ აქ მოსახლეობა უკვე ადრე
ული ბრინჯაოს ხანაში, ძვ. წ. III ათასწლეულში ბორბლიან
ტრანსპორტს იყენებდა და სუზინერ მესაქონლეობას ეწე
ოდა[1], რაც ფართოდ განვითარებული საგზაო მეურნეობის
არსებობაზე მიგვითითებს.

მაშასადამე, საქართველო, მისი მოსახლეობა იმთავითვე
ჩაბმული ყოფილა ძველი საკაროს ცივილიზებულ ხალხებთან
კულტურულ-ეკონომიურ ურთიერთობაში. ეფრო მეტიც
არქეოლოგიური მონაცემები და ნარატიული წყაროები გადა
გვიშლიან იმ გაფანტული მრავალსაუკუნოვანი ბრძოლების
სურათს, რომლებსაც აწარმოებდნენ სახელმწიფოებრივ-ერთი-

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I,

ნია 1453 წელს ქ. კონსტანტინოპოლის დაცემის შედეგ-
ოსმანთა იმპერიის ფარგლებში შავი ზღვის მთელი აუ-
გადასელამ საქართველო სავსებით მოსწყვიტა აღორძინებ-
გზაზე შემდგარ დასავლეთ ევროპას, და მუსულმანური ფან-
ტიზმის ოკეანეში გვერდშელეწილი ხომალდივით ებრძო-
ჩამძირავ ძალებს არსებობის შენარჩუნებისათვის წინა აზი-
ქრისტიანული კულტურის ერთადერთი გადარჩენილი ოაზის-
მუსულმანურმა ფანატიკურმა სტიქიამ გზა გადუჭრა აღმოს-
ვლურ რენესანსს, ჩიხში მოამწყვდია და მის უმთავრეს აკვან-
ში—საქართველოში ბარბაროსული სამხედრო მეთოდები
აღგვა პირისაგან მიწისა იგი.

ამრიგად ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, არსებ-
თად შეფერხდა ქართული სახელმწიფოებრივი ცხოვრება
შემდგომი ნორმალური წინსვლა და განვითარება. იმყოფებოდ-
რა მუდმივ დაძაბულ ბრძოლაში როგორც გარეშე მტრებთან
ისე შინაურ უწესრიგობასთან, იმ დროს ქართველ ხალხს, რასა-
კვირველია, არ შეეძლო ფიქრი შემოქმედებით მოღვაწეობაზ
მთელი მისი ენერგია მიმართული იყო იქითკენ, რომ ფიზიკურ
არსებობა მაინც შეენარჩუნებინა. ამიტომ თავდაცვის მიზნით
ხშირად თვითონაც ხდებოდა იძულებული, რომ დაენგრია ფ
მოესპო წინაპართა ჯაფითა და მონაგარით საუკუნეების მან-
ძილზე შექმნილი დიდებული გზები და საგზაო ნაგებობანი
თავის დროზე ასეთი ბედი სწვეოდათ მცხეთის, გორის, ასპინ-
ძისა და სხვა ხიდებს. ამასვე მოწმობს ქართველთა თავდადე-
ბული მრავალწლიანი თავდაცვითი ბრძოლები მონგოლთ
„დამსჯელი" რაზმების წინააღმდეგ მეფე დავით VIII ხელმძღ-
ვანელობით, ლანგ თემურის ურდოების წინააღმდეგ — მეფ
გიორგი V ბრწყინვალის მეთაურობით, ყიზილბაშთა და თურქ-
ოსმანთა წინააღმდეგ ქართლის მეფეების სიმონ I, ლუარსაბ
I, სიმონ II წინამძღოლობით და სხვა მრავალი.

ანალოგიურ ვითარებას—მტრისაგან თავდაცვის მიზნით
გზების დაშლასა და ხიდების დანგრევას—ადგილი ჰქონია XIX
საუკუნეშიც ე.ი. რუსეთთან საქართველოს შეერთების შემ-
დეგ. ამის მკვლევრმეტყველი მაგალითია სამხედრო ხელისუ-
ფალთა ბრძანებით კახეთიდან დაღესტანში მიმავალი გზის

დანგრევა 1851 წელს, როდესაც დაღესტნელი აბრაგები თავ-
დასხმით ემუქრებოდნენ კახეთის მშვიდობიან მოსახლეობას[1].

მაგრამ გზებსა და ხიდებს ანგრევდნენ და ანადგურებდნენ
არა მარტო თავდამსხმელები და თავდამცველები, ე. ი. არა
მარტო ადამიანები, არამედ სტიქიური ბუნებრივი ფაქტორე-
ბიც: ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზია, ზვავი და სხვა. ამ
მხრივ ყველაზე უფრო ზარალდებოდნენ მთის გზები და საგ-
ზაო ნაგებობანი, რომლებსაც მთის სწრაფი მდინარეები და
ნიაღვრები ზოგჯერ მთლიანად ჩამორეცხავდნენ, ან, უფრო
მეტიც, ძირს გაურეცხავდნენ და პირწმინდად ჩამოშლიდნენ,
მოაზვავებდნენ ხოლმე.

მაგრამ ყოველივე ეს იმას არ ნიშნავს, რომ XIII—XIX
საუკუნეების მანძილზე საქართველოში საერთოდ ყველა გზა
და ხიდი განიცდიდა ნგრევასა და განადგურებას. საშინელი
ძნელბედობის საერთო ისტორიულ ფონზე გამოერეოდა ხოლმე
შედარებით მშვიდობიანი, შემოქმედებითი წლები (მაგალი-
თად, გიორგი V ბრწყინვალის, ალექსანდრე I, როსტომის,
ვახტანგ VI, ერეკლე II მეფობის პერიოდებში), როდესაც
ქართველებს დაძაბული, შეუპოვარი შრომის ფასად კვლავ
წესრიგში მოყავდათ თავიანთი სახელმწიფო საგზაო მეურნე-
ობა და ამით გამაცოცხლებელი სტიმული შეჰქონდათ ქვეყნის
ეკონომიური და კულტურული ცხოვრების მომშვებულ მაჯის-
ცემაში. ინტელექტუალური აღმაფრენის საერთო დაქვეითების
მიუხედავად, აღნიშნულ პერიოდებში ქართველი ხალხი მაინც
ავლენდა თავის დაუცხრომელ შემოქმედებითს ენერგიას. მან
ქვეყანას მისცა მრავალი ბრწყინვალე მოღვაწე, თუნდაც
თბილისის მეტეხის ტაძრის შემოქმედის, ეამთაალმწერლის,
ზემოთ ფრჩხილებში აღნიშნული მეფეებისა და სხვათა სახით,
რომ არაფერი ვთქვათ გენიალური სულხან-საბა ორბელიანისა
და მის დიდებულ მოწაფეთა პლეადაზე.

თქმა არ უნდა, ისტორიული ძნელბედობა, რაც გარეშე
მტრებმა მოგვახვიეს თავს, გაცილებით იოლი დასაძლევი და
სამეურნეო-აღმშენებლობითი საქმიანობა უფრო ნაყოფიერი

[1] А. Бектабеков. Воспоминания о бывшей службе сапер на Кавказе и Азиатской Турции. Тифлис, 1874, зз. 53-54.

[illegible] რომ საქართველოს [illegible] სახელმწიფოებრივი [illegible] განვითარებული და [illegible] სახელმწიფოებრივი [illegible] და ხელს უწყობდა [illegible] თუ რა [illegible] XVII საუკუნის მიწურულში [illegible] საქართველო [illegible] ირანის შაჰის [illegible]

არა მარტო სავაჭრო თუ სატრანზიტო გზების [illegible] მნიშვნელოვანი ურთიერთობა. [illegible] გზებზე მიმავალი „[illegible]" [illegible] თანხლებით [illegible] მოსახლეობა, როცა [illegible] წყალი [illegible] ხიდებიდა, ქვემოთ რომლებიც ურმის ქარავანს [illegible] შეიარაღებული რაზმის თანხლებით მიდიოდა [illegible] მარილისათვის ან ბაჟისა თუ [illegible] ნავთისა და ნედლი თევზისათვის.

XVI—XVII საუკუნეებში, როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველო იმყოფებოდა ირანის გავლენის სფეროში, ხოლო დასავლეთ საქართველო—ოსმალეთის გავლენის სფეროში. ამიტომ ამ ხანში ხელისუფალნი განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენდნენ იმ გზების მიმართ, რომლებიც საქართველოს ამ ქვეყნებთან აკავშირებდნენ. ხშირად ამ დროს აშენდა მრავალი კაპიტალური ხიდი ირანისაკენ და თურქეთისაკენ მიმავალ გზებზე.

რუსეთის ძლიერი იმპერიის სახელმწიფო საზღვრების კავკასიონის ჩრდილო კალთებთან მიახლოებისას საქართველოს სამეფო-სამთავროთა მმართველნი რომლებიც ერთმორწმუნე რუს ხალხთან ქართველი ხალხის კანონზომიერ მისწრაფებას გამოხატავდნენ, საჭიროდ თვლიან ყურადღების ცენტრი სამხრეთის გზებიდან გადაიტანონ ჩრდილოეთის გზებზე—რუსეთისაკენ მიმავალ მარშრუტებზე დარიალის ხეობის გავლით.

ის ნათელსაყოფად საკმარისია იქნება თუნდაც მოკლედ აღვნიშნოთ ზოგიერთი ღონისძიება, რომლებიც XVII—XVIII საუკუნეებში განახორციელეს ცალკეულმა ქართველმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა საქართველოს საგზაო მეურნეობის მოწესრიგებისათვის.

მეფე როსტომი (1634—1658 წ.წ.), რომელიც ირანში დაიბადა და იქვე აღიზარდა, საქართველოში ირანის სამშენებლო ხელოვნების ხერხებსა და ნიმუშებს ნერგავდა. როსტომისა და მისი მეუღლის—დედოფალ მარიამის (დადიანის ასულის) სამშენებლო მოღვაწეობა ყურადღებას იპყრობს თავისი მრავალფეროვნებით და გრანდიოზულობით. როსტომის მეფობის დროს აშენებიათ შესანიშნავი „გატეხილი ხიდი", რომელიც დღესაც მოქმედებს, და ქვის სხვა საგზაო ხიდები.

დიდად განათლებულმა მეფე ვახტანგ VI (1703—1714 და 1719—1724 წ.წ.) დიდი შრომა მოანდომა საქართველოს საგზაო მეურნეობის სრულყოფას. იგი ცდილობდა საგზაო მშენებლობა წარმართულიყო გეგმიანად, კანონიერ კალაპოტში, რისთვისაც ისახა მისი ხელმძღვანელობით შემუშავებულ საკანონმდებლო აქტში—„დასტურლამალში". „დასტურლამალის" თანახმად, გზებისა და ხიდების მოვლა-პატრონობა, მათი შეკეთება და ახალთა მშენებლობა ევალებოდა მოსახლეობას—თითოეულ სოფელსა თუ თემს თავისი საზღვრების ფარგლებში.

კახეთის მეფე თეიმურაზ I (XVII ს. პირველი ნახევარი) რუსეთზე აღებული ორიენტაციის გავლენით, ზრუნავდა ჩრდილოეთ კავკასიისაკენ გზების გაჭრისათვის. მან 1638 წელს გზის სრულიად ახალი ტრასა გაიყვანა კავკასიონის მთიანეთის აღმოსავლეთ კალთებზე—დარიალის ხეობიდან კახეთამდე (ალავერდამდე).

მეფე ერეკლე II (1744—1798 წ.წ.), რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა ქართლ-კახეთის სამეფოთა ერთიან სახელმწიფოებრივ ორგანიზმად გაერთიანებას, გარეშე და შინაური მტრების ალაგმვას, ქვეყნის მშვიდობიანი სამეურნეო და კულტურული აღორძინების საქმეს შეალია, განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდა საგზაო მშენებ-

ლობასაც. მან მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელა
იმისათვის, რომ მოეწესრიგებინა საქართველოს საგზაო კავ
რი ჩრდილოეთ კავკასიასთან— გაჭრა გზები დარიალის ხეო
ში, აგო ხიდები თერგზე და სხვ.

მაგრამ დარიალის ჩრდილოეთით მობინადრე ოსთა მეო
მოესვენარი თემები ხელს უშლიდნენ გზაზე მოძრაობ
გამვლელ-გამომვლელებს დიდძალ გადასახადებს ართმევდნ
უფრო მეტიც—ზოგს ძარცვავდნენ და ხოცავდნენ კიდეც
მეფე ერეკლე თავს არიდებდა მათ წინააღმდეგ ძალის გ
ყენებას, შედგომ იმის ცდაში იყო, რომ მათთან საერთო ენა
მოენახა ამ მნიშვნელოვან მაგისტრალზე ნორმალური, უშიშ
მოძრაობის უზრუნველსაყოფად. ამის თაობაზე არსებ
მეტად საინტერესო დოკუმენტი. იგი გამოაქვეყნა ჩრდილ
ოსეთის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა. ამ დოკუმენტ
დან ჩანს, რომ 1768 წელს მეფე ერეკლეს ინიციატივით გა
რთული მოლაპარაკება საქართველოს და ჩრდილოეთ კავ
სიის ტომების წარმომადგენელთა საგზაო კონფერენ
მოწვევის თაობაზე. კონფერენციის უნდა შეემუშავებინა ღ
ნისძიებანი საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიას შორ
მოხერხებული, უშიშარი მოძრაობის უზრუნველსაყოფად ფ
ლეთზე გაელით, ნაკლებად დარიალისა.[1] მასალებიდან არ ჩან
თუ რით დამთავრდა კონფერენციის მუშაობა. მიუხედავ
ამისა საგულისხმოა თვით ამგვარი ცდა. ეს ფაქტი მოწმობ
რომ ამ ხანად საგზაო კავშირს ჩრდილოეთ კავკასიისაკენ ქა
თველი მმართველები ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნ
ამ საკითხის აქტუალობას მოწმობს ის მრავალსმეტყველი
რემოებაც, რომ დარიალის ხეობაზე გამავალი გზა ერეკლე
გამეფებამდე ეთქმოდა ყოფილა და ხელახლა მხოლოდ მ
დროს აშოქმედებულა იგი.

ერეკლე II დიდ მზრუნველობას იჩენდა თვით ქართლ
ხეობაში მოქმედი გზების დაცვისა და მგზავრთა უშიშრობ
უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით მოქმედ მაგისტრალზე, იქ, ს

[1] Г. Кокиев. Материалы по истории Осетии (XVIII в.) Известия Сев. Осетинского научно-исслед. инст. Орджоникидзе, 1934, стр. 208.

დაც ფეოდალობა მოითხოვდა, იგი აშენებდა ციხეებს და კოშკებს, რომლებშიც სამხედრო დაცვას იყენებდა.

გაწეული მეცადინეობის მიუხედავად, საგზაო მეურნეობის არსებითი ლორძინება ვერ მოხერხდა. მართალია, გზების ძველი მარშრუტები, მათი თავდაპირველი მამართულებანი და მნიშვნელობა შენარჩუნებულ იქნა, მაგრამ მაშინაც კი, როცა საქართველო რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოექცა, კვლავ არასახარბიელო, შეიძლება ითქვას: საგალალო იყო.

გარკვეული მიზეზების გამო რუსეთის ცარიზმმა ვერ გამოიჩინა დაინტერესება და უნარი იმისა, რომ ეროვნულ ღონეგიონა და მოეწესრიგებინა საქართველოს საგზაო მეურნეობა. ეპოქაში, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს მოუნდა მხარის პოლიტიკურ შემომტკიცებასა და ათვისებას. ამ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა კარგად გაშენებულ გზებსა და საგზაო ნაგებობებს. არსებობდა შესაბამისი საგზაო და სახიდე მშენებლობის ტექნიკაც, მაგრამ თვითმპყრობელი მეფის მთავრობას არ სურდა თავისი ქვეშევრდომებიდან გაეღო საჭირო ფულადი სახსრები. ეს კი მისი „წმიდა-წმიდა" კოლონიური პოლიტიკის „შებღალვა" იქნებოდა. ყველა შემთხვევაში ასე ფიქრობდნენ მეფის დიდმოხელენი. ამიტომ საგზაო მშენებლობის მთელი სიმძიმე მათ ადგილობრივ მოსახლეობის გაძალტაცებულ მხრებს დააკისრეს.

გზები უმთავრესად შენდებოდა და ეწყობოდა სამხედრო მოქმედების მიმართულებით, ომს კი მეფის მთავრობა თითქმის მთელი XIX საუკუნის განმავლობაში განუწყვეტლივ წარმოებდა თურქეთთან, სპარსეთთან და დაღესტნის მთიელებთან. არ არსებობდა გზათა მშენებლობის საერთო გეგმა. გზების მშენებლობას იწყებდნენ შემთხვევითად შემთხვევამდე, მაშინ როცა საომარი ვითარება ამის საჭიროებას წარმოშობდა. ამიტომ მთელი XIX საუკუნის მანძილზე კავკასიის საგზაო ორგანიზაციები წამდაუწუმ ცვლიდნენ საშენებლო ობიექტებს, ესესტემად გადიოდნენ ერთი გზის მშენებლობიდან მეორეზე, საბოლოოდ კი ვერც ერთი მოგანის მშენებლობას ვერ ასრულებდნენ მოლოდინად.

ადგილობრივი მოსახლეობის, ადგილობრივი წარმოების

ობს. გზის ამ ნაწილს საკალი ზოლი ანუ საკალი ნაწილი ეწ-
დება.

ცნობილია, რომ რომაელთა უმშვენიერესი აპიუსის გზა
Via Appia -მ 22 საუკუნის ქარტეხილს გაუძლო (აშენებუ-
ლია ძვ. წ. 312). ეს ფაქტი მოწმობს, თუ რაოდენ მაღ-
დონეზე ყოფილა ანტიკურ რომში საგზაო მშენებლობის ს-
ლოვნება. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ეს და მისი მაგ-
სხვა გზები მონათა აუნაზღაურებელი შრომის ნაყოფია. რ-
მაელები ფართოდ იყენებდნენ მონათა მეტ შრომას თავ-
ნთი სტრატეგიული გზების მშენებლობაზე. ამ შესანიშ-
გზების ნაწილი შედგებოდა ოთხ შრეად დაწყობილ-
სხვადასხვა ზომის ქვებისაგან. ქვებს შრეებში და თვით-
შრეებსაც ერთმანეთთან აკავშირებდნენ კირის დეღაბით. გ-
ბის საერთო სისქე 1,0—1,2 მეტრს აღწევს.

რომის იმპერიის დაცემის შემდეგ (V ს. დასასრული) ევ-
როპაში, აზიასა და აფრიკაში საერთო სიგრძით 70,0
კილომეტრამდე გადაჭიმული რომაული გზები სრულ-
ემოვალეურად, ეპატრონოდ დარჩნენ და თანდათანობ-
ნგრევას განიცდიდნენ.

ანტიკური რომაული გზები, რომლებსაც დამონებ-
ტვეთა მეტი შრომით კმნიდნენ, არსებითად ფრიად ძ-
და საჭიროა გზის ორმოებისა და ღრანტეების ამოვსება, რ-
და რიგად საინტერესო ნაგებობებს წარმოადგენენ. და ეს
ია, მსგავსი გზების მშენებლობის განხორციელება თითქ-
შეუძლებელი იქნებოდა შეა საუკუნეების ფეოდალური
რობის ნატურალური მეურნეობის დახშულ პირობებში.

საქართველოს ძველი გზები, რომლებიც მდინარეთა ხ-
ებს მოუყვებოდა და ფერდებზე გადადიოდა, სრულ-
ყოფილ საგზაო ნაგებობებს წარმოადგენდა. მათ არ შეე-
ლით ფერდობის ბეტონი და გამანადგურებელ სტიქიურ მ-
ლენებისგან გამოლეკვა. ქართველებს არ შესწევდათ ძალა, რ-
რომაელთა მსგავსად მასობრივად გამოეყენებინათ მონ-
შრომა თავიანთი გზების მშენებლობისათვის.

მაინც რა წარმოადგენდნენ საქართველოს გზები თ-
ანი მიწის ფენის კონსტრუქციით და საკალი ნაწილებ-

ამაზე ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს წერილობითი წყარო-
ები.

ბიზანტიელი მწერალი პროკოფი კესარიელი, როგორც
უკვე აღვნიშნეთ, იუწყება, რომ ბიზანტიელებთან ომის დროს
პარსელებს აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ სა-
ართველოში მყოფი გზა გადაუკეთეთ. ამ გზის საკალი ნაწი-
ი იმდენად საფუძვლიანად ყოფილა აგებული, რომ ცხე-
ოსან ნაწილებთან ერთად მასზე გადატარებიათ მძიმე სპი-
ების რაზმიც. ეს ცნობა გვაფიქრებინებს, რომ ამ გზას
ნდა ჰქონოდა რიყის ქვაფენილი, ისეთი სახის საგზაო სა-
ენი, რომელსაც საუკუნეების მანძილზე იყენებდნენ ირანე-
ები და წინა აღმოსავლეთის სხვა ხალხები თავიანთი გზებია
შენებლობაზე. საქართველოში უხსოვარი დროიდანვე ეკ-
თია მდინარეებსა და ხევებში, ზოგან მიწის ზედაპირზედაც
დგილობრივი ქვის ჯიშების ნაირნაირი ზომისა და ფორმის
ენებრივი ნატეხები თუ ნამსხვრევები. ძნელად წარმო-
დგენია, რომ ეს ხელსაყრელი, გამძლე და მყარი ქვის
ასალა ძველად ქართველებს არ გამოეყენებინოთ მიმოსვლის
საადვილებლად, სამიმოსვლო გზების საფენებად.

საკვირველია, რომ საქართველოში ყველაზე სარფიან უძვე-
ეს საფენებს წარმოადგენდა ხრეშის საგზაო საფენები. იქ,
საც საჭიროა გზის ორმოებისა და ღრანტეების ამოვსება, რა-
ი გზები სამიმოსვლოდ ვარგისი გახდეს როგორც მშრალ-
ი ნესტიან (წვიმიან, თოვლიან, ნისლიან) ამინდში, ახლაც
ხრეშს ფართოდ იყენებენ როგორც საგზაო მასალას, და იყე-
ებენ არა მარტო საქართველოში, არამედ სამხრეთ კავშირის
ოველ რიგ ოლქებში, ევროპისა და ამერიკის გზებზე. ყველ-
ან, სადაც კი იგი (კარგი ხარისხის ხრეში) მოიპოვება.

მაგრამ ხრეშოვანი საგზაო საფენი სრულყოფილი არ არის.
ესტია, დიდხანს ვერ ძლებს. ამიტომ იგი მოითხოვს შეგროვ-
ერიოდებისა და მოვლას. გზის დროდადრო დამტვერით ენ-
ოეკარის ხრეში, რადგან იგი სწრაფად ფიფქდება და ქრება
ის ზედაპირიდან. ამით ითვლება ის გარემოება, რომ ზეკა-
ე ვერ მოიფენა ძველი გზების ხრეშის საფენებმა.

სესტი, რომელიც ტრანტების საფენად იყენებენ რიყის ქვებს,



სილუეთით [illegible] ერთი მეორეს. ქვისა და ქვის შორის [illegible] შში ჩაყრილი ხრეში და ქვები ისე მჭიდროდაა ერთმანეთ [illegible] ჩაჭედილი, რომ მათი ადგილიდან დაძვრა ყოვლად შეუძ [illegible] ლია. ამ მარტივი საშუალებით მიღწეულია ისეთი სიმტ [illegible] რომ ქუჩა დღესაც ისევ ისე დგას, როგორც XII ს-ში [illegible] [illegible]. ქვების სიღრმის გამო ქუჩის ზედაპირი [illegible] [illegible].

ქუჩის სიგანე კარის ახლოს 4, 7 მეტრს აღწევს. ზევით [illegible] იგი თანდათანობით ვიწროვდება. ქუჩა დავიწროვებულ [illegible] 2.5 მეტრამდე"[1].

ციხე-ქალაქი დმანისი ძველად წარმოადგენდა თვალსაჩ [illegible] ნო სატრანზიტო სადგურს თბილისიდან სომხეთში მიმა [illegible] საერთო გზაზე, რომელიც მაშავერის ხეობას მიჰყვებოდა.

